სსიპ - კოლეჯი "მერმისი"

სამოქმედო გეგმის შესრულება - 2024 წელი

| N | ამოცანები | აქტივობები | შესრულების ვადები, თვე | | | | | | | | | | | პასუხისმგებელი პირი | შესრულების ინდიკატორები | შესრულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | X | XI | XII | | | |
| ***სტრატეგიული მიზანი №1*** *- 2027 წლის 1 იანვრისთვის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების განვითარება და ინტერნაციონალიზაცია* | | | | | | | | | | | | | | | | |
| *1* | *შრომის ბაზარზე მოთხოვნადი მომზადება/ გადამზადების პროგრამის სპექტრის გაზრდა* | სხვადასხვა სფეროს პროფესიული მომზადების პროგრამების შემუშავება და დამატება | | | | × | × | × | × | | × | × | × | ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, ხარისხის მართვის მენეჯერი | მიღებულია ბრძანებები პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების დადასტურების/უფლების მოპოვების შესახებ | **შეფსრულდა ნაწილობრივ:** დმოპოვებულ იქნა პროფესიული მომზადების პროგრამა "სურსათის უვნებლობისა და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების ლაბორატორიული უზრუნველყოფა რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოებში" განხორცელების უფლება (პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილება №205805, 23.02.2024წ.)ამტკიცდა „ქართული ფარდაგისა და ხალიჩის ქსოვის" პროფესიული მომზადების პროგრამა (სამსახურებრივი ბარათი N447174, 19.04.2024წ.), მიღებულია ბრძანება პროგრამის რეგისტრაციაში გატარების შესახებ (NMES 5 24 0000621023) |
| | | პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელება | | | | × | × | × | × | | × | × | × | ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი | გაზრდილია კურსდამთავრებულ მსმენელთა რაოდენობა | **შესრულდა: N5 ქალთა სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებაში მიმდინარეობს** სწავლება პროფესიული მომზადების ორ პროგრამაზე, „თმის შეჭრისა და ღებვის ხელოვნება" და „ქართული ფარდაგისა და ხალიჩის ქსოვა". პროგრამაზე "ქალის სათავიანი ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება" მიმდინარეობს სწავლება შპს "ჯეო ემ ტექსში". სულ: 30 მსმენელი. ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოში გაგზავნილია განაცხადი 6 პროფესილი მომზადების 7 ჯგუფის დაფინანსების შესახებ (წერილი: 272230, 06.03.2024წ.)02 აპრილს დასრულდა პროფესიული მომზადების პროგრამა „ქალის სათავიანი ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება", სწავლა დაასრულა 15 მსმენელმა შპს „ჯეო-ემ-ტექს" -ის თანამშრომლებმა (სამსახურებრივი ბარათის N359587); 10 აპრილს მიზნობრივი დაფინანსების მიღების მიზნით, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოში გადაგზავნილია პროფესიული მომზადების 6 პროგრამული და ფინანსური განაცხადი (წერილის N411701):<br>„ელექტრული მონტაჟი"; „კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით"; „ქალის სათავიანი ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება"; „ქართული სამზარეულოს ძირითადი კერძების მომზადება" – (2 ნაკადი); (სწავლა დაიწყო 2024 წლის 26 ივნისს, მსმენელთა საერთო რაოდენობა (სამსახურებრივი ბარათის N 747691);<br>12 აპრილს სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში, მიზნობრივი დაფინანსების მიღების მიზნით გადაგზავნილია პროფესიული მომზადების პროგრამების 3 განაცხადი (წერილის N426000): „სასტუმროს მიღება-განთავსების განყოფილების მომსხურება";<br>"ტიხრული მინანქრის ტექნოლოგია";<br>"ქალის სათავიანი ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება" ;<br>29 მაისს მიზნობრივი დაფინანსების მიღების მიზნით, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოში გადაგზავნილია პროფესიული მომზადების პროგრამა „ელექტრული მონტაჟი" (წერილის შიდა N595223). 17 და 28 ივნისს კოლეჯმა დაიწყო პროგრამა N5 ქალთა სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებაში - "ქალის სათავიანი ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება" და N16 პენიტენციურ დაწესებულებაში - „ელექტრული მონტაჟი" და „კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით; 25 ივნისს N5 ქალთა სპეციალური პენიტენციური დაწესებულების ორი პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში: „ქართული ფარდაგის და ხალიჩის ქსოვა" და „თმის შეჭრისა და ღებვის ხელოვნება" კურსდამთავრებული ქალ მსჯავრდებულებს გადაეცათ სერთიფიკატები (https://www.facebook.com/share/p/GL9i7ExF9VVsJBs9/ ); სტატისტიკური მონაცემები: გამოცხადებულ იქნა მიღება 7 პროფესიულ მომზადების პროგრამაზე, მათ შორის 6 დახურული მიღებით - პენიტენციურ დაწესებულებებში განსახორციელებელი პროგრამებისათვის;<br>დარეგისტრირებული იქნა - 45 აპლიკანტი (დახურული მიღების); აქტიური სტატუსი მიენიჭა - 70 მსმენელი; შეწყვეტა - 19 მსმენელი; დამთავრება - 30 მსმენელი; მიმდინარეობს სწავლება მოკლევადიან პროგრამებზე: "ქალის სათავიანი ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება", "კონდიტერიის ხელოვნება", "ელექტრული მონტაჟი", "ქართული ფარდაგისა და ხალიჩის ქსოვა", "ტიხრული მინანქარის დამზადების ტექნოლოგია" (სულ 61 მსმენელი)გამოცხადებულ იქნა მიღება 4 პროფესიულ მომზადების პროგრამაზე, მათ შორის 2 დახურული მიღებით პენიტენციურ დაწესებულებაში და 2 ღია წესით განსახორციელებელი პროგრამებისათვის; დარეგისტრირებული იქნა - 24 აპლიკანტი (დახურული მიღების); აქტიური სტატუსი მიენიჭა 63 მსმენელს; პროგრამა დაასრულა - 88 მსმენელმა; |
| *2* | *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება* | ახალი სტანდარტების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: "სასტუმრო მომსახურება", "სარესტორნო მომსახურება", "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი", „ადმინისტრაციული სერვისები", "გრაფიკული დიზაინი", „ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია", „Front-end დეველოპმენტი" შემუშავება | | | | × | × | × | × | | × | × | × | პროგრამის ხელმძღვანელი, მასწავლებლები, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი | შემუშავებულია ახალი პროგრამები: "სასტუმრო მომსახურება", "სარესტორნო მომსახურება", "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი", „ადმინისტრაციული სერვისები", "გრაფიკული დიზაინი", „ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია", „Front-end დეველოპმენტი" | **შესრულდა ნაწილობრივ:** მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები, გაგზავნილია განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროში მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი "გრაფიკული დიზაინის" ახალი პროგრამის დამატებისა და განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით (წერილი: №1180695, 23.09.2024წ.) მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები, შევსებულ იქნა 6 ახალი პროგრამის: "სასტუმრო მომსახურება", "სარესტორნო მომსახურება", "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი", „ადმინისტრაციული სერვისები", „ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია", „Front-end დეველოპმენტი" მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი და გაგზავნილ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში პროგრამის დამატებისა და განხორციელების თანხმობის მიღების მიზნით (წერილები: №1384081, 28.10.2024წ., №1384353, 28.10.2024წ., №1476140, 15.11.2024წ.), რომლებზეც მიღებულ იქნა თანხმობა (წერილები: №MES 3 24 0001335929, 16.10.2024, №MES 3 24 0001418305, 05.11.2024, №MES 6 24 0001544867). |
| | | ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "სასტუმრო მომსახურება", "სარესტორნო მომსახურება", "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი", „ადმინისტრაციული სერვისები", "გრაფიკული დიზაინი", „ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია", „Front-end დეველოპმენტი" დამტკიცება | | | | | | | | | | × | × | პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის მენეჯერი | ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: "სასტუმრო მომსახურება", "სარესტორნო მომსახურება", "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი", „ადმინისტრაციული სერვისები", "გრაფიკული დიზაინი", „ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია", „Front-end დეველოპმენტი" დამტკიცებულია | ***არ შესრულდა ობიექტური მიზეზების გამო: მიმდინარეობს ახალი პროგრამებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსების პროცესი*** |
| *3* | *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია* | გაცვლითი პროგრამების განხორციელების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება | | | | | | | | | | × | × | დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, დირექტორის მოადგილე ფინანსურ დარგში | გაფორმებულია მემორანდუმები, მომზადებულია პროექტები | **შესრულდა ნაწილობრივ:** iნტერნაციონალიზაციის კუთხით კოლეჯმა განახორციელა შემდეგი აქტივობები: შეიქმნა პარტნიორების ბაზა 60-მდე პარტნიორით. ინტერნაციონალიზაცია აისახა კოლეჯის ვებგვერდზე - ჩაშენდა საერთაშორისო ურთიერთობების ველი, შეიქმნა კოლეჯის სოციალური ქსელები ლინკიდნსა და ინსტაგრამზე).<br>კოლეჯი მონაწილეობდა პროფესიული განათლების საერთაშორისო კვირეულში საერთაშორიოსო გამოცდილების, კარგი პრაქტიკების გაზიარებისა და ახალი კონტაქტების დამყარების მიზნით კოლეჯის პედაგოგები და სტუდენტები მონაწილეობდნენ Erasmus + პროექტების ფარგლებში გაცვლით და მობილობის პროგრამებში: ქ. ბუდაპეშტში 80 დღიანი სტუდენტური სტაჟირება; • მოლდოვაში, ქ.კიშინიოვში სტუდენტური პროექტი; სტუმართმასპინძლობის მიმართულების პროფესიული პედაგოგების ვიზიტი იტალიაში; ინჟინერიის მიმართულების პროფესიული მასწავლებელის ვიზიტი ლატვიაში; სტუმართმასპინძლობის პროფესიული მიმართულების მასწავლებლის ვიზიტი სომხეთში, ქ.დილიჟანსში.22-23 ოქტომბერს სსიპ კოლეჯმა "მერმისი" მონაწილეობა მიიღო ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგანტოს მიერ ორგანიზებულ პროფესიული განათლების საერთაშორისო კვირეულში, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის საერთაშორისო დონეზე პარტნიორობის ჩამოყალიბების ხელშესაწყობად გაიმართა. კვირეულში მონაწილეობდა ათი ქვეყნის: ესპანეთი, ლიეტუვა, გერმანია, ესტონეთი, ლატვია, უნგრეთი, პოლონეთი, საბერძნეთი, თურქეთი და ჩინეთის პროფესიული განათლების წარმომადგენლები. ღონისძიებაზე კოლეჯის "მერმისი" მიერ წარმოდგენილი იყო როგორც ხელოვნების, ასევე სტუმართმასპინძლობის მიმართულების პროფესიულ სტუდენტთა ნამუშევრები |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *4* | *პროექტების/ სასერტიფიკატო მოკლევადიანი პროგრამების განხორციელება* | სხვადასხვა პროექტების ფარგლებში მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამების შერჩევა და შემუშავება | | × | × | | | | | | × | × | × | დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, დირექტორის მოადგილე ფინანსურ დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერი, მასწავლებელი | დამტკიცებულია მოკლევადიანი პროგრამები | ***შესრულდა:*** შემუშავდა და დამტკიცდა 11 მოკლევადიანი მოკლევადიანი პროგრამა „ფილამწყობი" , „ტყავის აქსესუარების კერვა“, „ელექტრიკოსი", „კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების საშუალებით რიცხვით პროგრამული დანადგარების მართვა“ (CNC და ლაზერული მჭრელი", „სურსათის უვნებლობა და ხარისხი კვების ობიექტებში" , „მზარეული" (ქართული და ევროპული სამზარეულო) , „ქალის სტილისტი" (შეჭრა, ვარცხნილობები) „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი", „ტორტების დამზადება და მორთვა მარციპანით", "ტიხრული მინანქარი", "ხაზვის სისტემით 2D CAD საინჟინრო ელექტრული სქემების ნახაზების შესრულება" .ქ. თბილისის მერიის მიერ განსახორციელებელი პროექტისათვის „ისწავლე და დასაქმდი“ - გაზაფხულის ნაკადი (სამსახურებრივი ბარათი N321314, 18.03.2024წ., ბრძ. 04-43,19.03.2024წ.). ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის "ისწავლე და დასაქმდი" პროექტის ფარგლებში (2024 წლის შემოდგომის ნაკადი) განსახორციელების მიზნით, დამტკიცდა 9 მოკლევადიან პროგრამა: "მსუბუქი ავტომობილის ელექტრონული კვანძების დიაგნოსტირება", „ტყავის აქსესუარების კერვა“, „ელექტრიკოსი", „კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების საშუალებით რიცხვით პროგრამული დანადგარების მართვა“ (CNC და ლაზერული მჭრელი), „მზარეული" (ქართული და ევროპული სამზარეულო), „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი", „ტორტების დამზადება და მორთვა მარციპანით", "ტიხრული მინანქარი", "ხაზვის სისტემით 2D CAD საინჟინრო ელექტრული სქემების ნახაზების შესრულება" (სამსახურებრივი ბარათი №1095919, 10.09.2024წ., ბრძ. №04-205, 10.09.2024წ.) |
| | | მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამების განხორციელება | | | × | × | × | × | × | | × | × | × | დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, დირექტორის მოადგილე ფინანსურ დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი | განხორციელებულია სასერტიფიკატო მოკლევადიანი პროგრამები | **შესრულდა:** განხორციელდა ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის პროექტი - „იწავლე და დასაქმდი“ - ფარგლებში (2024 წლის გაზაფხულის ნაკადი) 11 მოკლევადიან პროგრამაზე (107 კურსდამთავრებული მსმენელი). ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის პროექტის "ისწავლე და დასაქმდი" ფარგლებში განხორციელდა 11 მოკლევადიანი პროგრამა, მომზადდა 110 მსმენელი, პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ განხორციელებულ პროექტში „საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა“ ხუთ სკოლაში ქ. თბილისის N86, N133, N169, N124, სართიჭალის N2 და არხოს №1 სკოლაში ჩატარდა პროფესიული ორიენტაციის კურსები. |
| | *ფორმალური განათლების აღიარება* | ფორმალური განათლების აღიარება | | | | | | | | | | × | × | ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებელი | განხორციელებულია ფორმალური განათლების აღიარება | **შესრულდა:** განხორციელდა ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება 4 სტუდენტისათვის |
| | *არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვება და ამოქმედება* | არაფორმალური განათლების აღიარება | | | | × | × | × | × | | | × | × | დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, იურისტი | მოპოვებულია არაფორმალური განათლების აღიარების უფლება და ამოქმედებულია | ***შესრულდა ნაწილობრივ:*** არაფორმალური განათლების აღიარების უფლება მოპოვებულია |
| *5* | *სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა* | საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგი, მასწავლებლების, სტუდენტების, დამსაქმებელებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა, შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები, სტუდენტთა შეფასების შიდა ვერიფიკაციის სამუშაოების ჩატარება | | × | × | × | × | × | × | × | | × | × | ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელები, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, განათლებისა და დარგის ვერიფიკატორიები | განხორციელებულია მეცადინეობებზე და შეფასების პროცესზე დასწრება, გაფორმებულია ოქმები, ჩატარებულია გამოკითხვა და მიღებული შედეგების ანალიზი, საჭიროებისას გაცემულია რეკომენდაციები, ჩატარებულია სტუდენტთა შეფასების შიდა ვერიფიკაციის პროცესი | **შესრულდა:** შედგენილ და დამტკიცებულ იქნა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი (სამსახურებრივი ბარათები N483382, 30.04.2024წ., ბრძ. N04-93, 01.05.2024წ.), სტატუსი აღუდგა 2 სტატუსშეჩერებულ პირს (სამსახურებრივი ბარათები N568472, 23.05.2024წ., N630576, 06.06.2024წ.), მარეგულირებელ დოკუმენტებში განხორციელდა ცვლილებები, (სამსახურებრივი ბარათი: N432069, 16.04.2024წ., სამსახურებრივი ბარათი: N517597, 14.05.2024წ., ბრძ. N04-99, 14.05.2024წ., სამსახურებრივი ბარათი: N556407, 22.05.2024წ., ბრძ. N04-127, 31.05.2024წ., ბრძ. N04-130, 04.06.2024წ., სამსახურებრივი ბარათი: N755957, 26.06.2024წ.); ჩატარდა „თმის მომსახურების“, „სავალი ნაწილის შეკეთების“, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერის“, „იატაკისა და ფილის სამუშაოების“, „კონდიტერიის“, „კულინარიის ხელოვნების“ პროგრამების შუალედური შეფასების (ბრძ. N04-70, 17.04.2024წ., ბრძ. N04-89, 26.04.2024წ., ბრძ. N04-108, 20.05.2024წ., ბრძ. N04-138, 10.06.2024წ., ბრძ. N04-139, 12.06.2024წ., ბრძ. N04-153, 25.06.2024წ.) პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შუალედური შეფასების დადასტურების პროცესი ჩატარდა გამჭვირვალედ, ობიექტურად და სამართლიანად. შეფასებისას ყველა სტუდენტი იმყოფებოდა თანაბარ პირობებში. პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებები იყო სანდო, ვალიდური. დაწესებულებამ, როგორც ვიზიტორმა, მონაწილეობა მიიღო 29-30 მაისს SBA ჩატარებულ თანამშრომლობით ვიზიტში თემაზე: „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირება“. განხორციელდა „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროგრამის სტუდენტების დასწრების მონიტორინგი და კომპიუტერული ტექნიკის გაუმჯობესების საჭიროების გამოკვეთა (სამსახურებრივი ბარათი: N386177, 02.04.2024წ.);ჩატარებული სამუშაოების შედეგად სტატუსი აღუდგა 3 სტატუსშეჩერებულ პირს (სამსახურებრივი ბარათები N1122068, 13.09.2024წ., N1168093, 19.09.2024წ., N1144827, 17.09.2024წ., N1185500, 23.09.2024წ., N1203949, 25.09.2024წ.); მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებულ იქნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (სამსახურებრივი ბარათი: N1120219, 13.09.2024წ.); ერთი სტატუსაღდგენილი პირისათვის შემუშავებულ იქნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (სამსახურებრივი ბარათი: N1211181, 26.09.2024წ.); ჩატარდა პროგრამების: „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, „მომინანქრება“„მხატვრული ქსოვის“, „ფეხსაცმლის და ტყავის ნაკეთობათა წარმოება“, „თექის დამზადება“ შუალედური შეფასების მონაწილე პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შუალედური შეფასების დადასტურების პროცესი ჩატარდა გამჭვირვალედ, ობიექტურად და სამართლიანად. შეფასებისას ყველა სტუდენტი იმყოფებოდა თანაბარ პირობებში. პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებები იყო სანდო, ვალიდური;13-14 ნოემბერს კოლეჯში ჩატარდა თანამშრომლობითი ვიზიტი თემაზე: „შუალედური შეფასების ორგანიზება“. კოლეჯი - მასპინძელი დაწესებულება. მიზანი: მასპინძელი და ვიზიტორი დაწესებულების მიერ გამოცდილების გაზიარება შუალედური შეფასების ჩატარების კუთხით. თანამშრომლობით ვიზიტში მონაწილეობა მიიღო 23 საჯარო და კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 44 წარმომადგენელმა. ავტორიზაციიის 5 სტანდარტის მიხედვით პილოტირების რეჟიმში შევსებულ იქნა 360°-იანი თვითშეფასება პორტალზე strege.co (შერჩეულ იქნა ორი პროგრამა: "საოფისე საქმე" და "სამკერვლო წარმოება"). ჩატარდა სტუდენტების საბოლოო გამოკითხვა პროგრამის განხორციელების შეფასების კითხვარით 4 ჯგუფში და ვერიფიკაციის სამუსაოები. სსიპ კოლეჯში "მერმისი" ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მხარდაჭერით 27-28 ნოემბერს ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა, რომელშიც მონაწილეობდნენ კოლეჯის პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლები. |
| | | სასწავლო პროცესში გამოყენებული ნედლეულის და მასალების ხარჯვის მონიტორინგი | | | × | | | × | | | × | | × | მატერიალური მარაგებისა და საწვავის ჩამოწერის მუდმივმოქმედი კომისია | ჩატარებულია სასწავლო პროცესში გამოყენებული ნედლეულის და მასალების ხარჯვის მონიტორინგები | **შესრულდა:** გაფორმებულია მუდმივმოქმედი კომისიის მასალისა და ნედლეულის ჩამოწერის 243 აქტი. |
| *6* | *სასწავლო პროცესის ორგანიზება და მონიტორინგი* | 2024 წლის მიღების დაგეგმვა, ანკეტა-კითხვარის შევსება, საგამოცდო კომისიების ფორმირება, აპლიკანტთა კონსულტირება, პროფორიენტაცია, აპლიკანტთა შერჩევა/შეფასება, ჯგუფების ფორმირება | | | × | × | × | × | × | | × | × | | დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, დირექტორის მოადგილე ფინანსურ დარგში, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი | შევსებულია ანკეტა-კითხვარი, ფორმირებულია საგამოცდო კომისიები, ჩატარებულია კონსულტირება, პროფორიენტაცია, აპლიკანტთა შერჩევა/შეფასება, ფორმირებულია ჯგუფები | **შესრულდა:** შევსებულია ანკეტა-კითხვარი, ფორმირებულია საგამოცდო კომისიები, 2024 წლის საგაზაფხულო მიღებაზე დარეგისტრირდა 1301 აპლიკანტი 15 პროგრამაზე (სამსახურებრივი ბარათი: N 443473, 18.04.2024წ., ბრძ. N04-74, 18.04.2024წ.) 2024 წლის საშემოდგომო მიღებისათვის ჩატარებულია აპლიკანტთა კონსულტირება და პროფორიენტაცია, განხორციელდა საგამოცდო კომისიების ფორმირება, აპლიკანტთა შერჩევა/შეფასება, ფორმირებულია ჯგუფები |
| | | განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების სასერტიფიკატო პროგრამების სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ორგანიზება და პროგრამების განხორციელება | | × | × | × | × | × | × | | × | × | × | დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი | სასწავლო ცხრილები შედგენილია, სასწავლო მასალებთან დაკავშირებული მოთხოვნები ატვირთულია, შევსებულია ჟურნალები, ჩატარებულია თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები | **შესრულდა:** ორგანიზებულ იქნა შუალედური შეფასებები (სამსახურებრივი ბარათები: N457457 (23/04/2024); N470262 (26/04/2024); N 607364 (31/05/2024); N642031(10/06/2024); N450118(19/04/2024); N450143 (19/04/2024); N 453928(22/04/2024); N643010(10/06/2024), სასწავლო ცხრილები შედგენილია, სასწავლო მასალებთან დაკავშირებული მოთხოვნები ატვირთულია, შევსებულია ჟურნალები, ჩატარებულია თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები, სტატუსი აღუდგა ორ პირს. ერთი სტუდენტისთვის შემუშავებულ იქნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (სამსახურებრივი ბარათი: N1317355, 11.10.2024წ., N 1632924, 19.12.2024წ.); |
| | | სასწავლო დოკუმენტაციის და ჟურნალის წარმოების მონიტორინგი და ანალიზი | | × | × | × | × | × | × | | × | × | × | სასწავლო პროცესის მენეჯერი | ჩატარებულია სასწავლო დოკუმენტაციის და ჟურნალების მონიტორინგები | **შესრულდა:** ჩატარდა სტუდენტთა მიერ მეცადინეობებზე დასწრების მონიტორინგი, (სამსახურებრივი ბარათები: N 386723 (02.04.2024), N536184 (16/05/2024), N636273 (07/06/2024); 397674 (04/04/2024,) წერილები: N 469264 (25/04/2024); N 632496 (06/06/2024); N 710418 (20/06/2024); N 711179 (20/06/2024)). N882069, 09/07/2024, N887028, 19/07/2024, N881963, 19/07/2024; N881827, 19/07/2024, N903663, 24/07/2024; N887034, 19/07/2024; N1187881, 23/09/2024; N1187816, 23/09/2024. ჩატარებულია სასწავლო დოკუმენტაციის და ჟურნალების მონიტორინგები, რაც ასახულია სტუდენტთა დასწრების მატერიალურ ჟურნალებში |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | *ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდაჭერა* | სსსმ და შშმ პირთა მომსახურება, მათ შორის სასწავლო პროცესზე დასწრება, დაკვირვების წარმოება, კვლევის ჩატარება, საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება | × | × | × | × | × | × | × | | × | × | × | ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, სსსმ პირის ასისტენტი, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამების მასწავლებლები | ინკლუზიური განათლების გუნდის მიერ გაწეულია მომსახურება სსსმ და შშმ პირთათვის | **შესრულდა:** 50 სსსმ/შშმ სტუდენტს მომსახურებას უწევს ინკლუზიური განათლების გუნდი: კოორდინატორი, 4 სსსმ პირის ასისტენტი, 4 ჟესტური ენის თარჯიმანი. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სატრანსპორტო მომსახურების ჩატარებული ტენდერის შედეგად, უზრუნველსაყოფილია 19 სსსმ/შშმ სტუდენტის სატრანსპორტო მომსახურება. |
| | | სსსმ და შშმ პირთა მხარდაჭერის მიზნით დაუნის სინდრომის მსოფლიო დღის, აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღის, თანაბარი უფლებების დაცვის ეროვნული დღის და შშმ პირთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა კოლეჯის სტუდენტთა ჩართულობით | | | × | × | | × | | | | | × | ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი | სოციალურ ქსელში ასახულია ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიებების შესახებ | **შესრულდა:** 2024 წლის 15 სექტემბერს ორგანიზაციის „ქალები განათლებისა და დემოკრატიისათვის“ ორგანიზებით გაიმართა ნიკა ემუხვარის სახელობის ხელოვნების კონკურს-ფესტივალი „გვესმოდეს ერთმანეთის“. კონკურსში წარმოდგენილი იქნა ფერწერული, გრაფიკული, ფოტოგრაფიული, ციფრული და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები. კოლეჯის „მერმისი“ სტუდენტებმა, მათ შორის სამმა სსსმ სტუდენტმა მიიღო აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა და გადაეცათ დიპლომები.2 დეკემბერს გაიმართა ღონისძიება შშმ პირთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა კოლეჯის სტუდენტთა ჩართულობით |
| 8 | *პროფესიული განათლების პოპულარიზაცია* | პროფესიული განათლებისა და კოლეჯის პოპულარიზაციის მიზნით სარეკლამო ღონისძიებების, მათ შორის ონლაინ რეჟიმში, დაგეგმვა-განხორციელება | | | × | × | × | × | × | | × | | | პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი | კოლეჯის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში ასახულია ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიებების შესახებ | **შესრულდა**: სსიპ კოლეჯში „მერმისი“ 20 ნოემბერს სტუმრად იმყოფებოდნენ უნგრეთის რესპუბლიკის Felcsúti Letenyey Lajos High School - სა და Kiskunhalas Vocational Training Center დაწესებულებების დირექტორები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი სოფიო ბუჯიაშვილი და დონორებთან თანამშრომლობის კოორდინატორი მარიკა ღვამიჩავა. სტუმრებმა პრეზენტაციის სახით მიიღეს ინფორმაცია კოლეჯის „მერმისი“ შესახებ და ისაუბრეს სამომავლო თანამშრომლობაზე. ასევე დაათვალიერეს კოლეჯის ინფრასტრუქტურა და გაეცნენ სასწავლო პროცესს. |
| | | ახალი პარტნიორი ორგანიზაციების მოძიება მოდულური, ინტეგრირებული, დუალური, მომზადება/ გადამზადების პროფესიული და მოკლევადიანი პროგრამების განხორციელების და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით | | | × | × | × | × | × | | | × | × | პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი | გაფორმებულია მემორანდუმები და ხელშეკრულებები | **შესრულდა:** აფორმებულია მემორანდუმები/ხელშეკრულებები შემდეგ კომპანიებთან: შპს „ჯეო ემ ტექსი“, შპს "რას ალ ხაიმა ინვესტმენთ აუტორიტი ჯორჯია“, შპს “REVISTA”, შპს “ზაუფლექსი“, შპს „კონდი“, შპს „ლთბ“, ი/მ ომარი ბუდაღაშვილი, შპს „დეგუსტო ინტერნეიშენალ“, შპს „კოსმო“, შპს „ჯეო ემ ტექს’’, შპს „მირიან ტუზურიძე“ , შპს „თ და კ“ რესტორნები (მაკდონალდსი)შპს "დეტრა", მემორანდუმი N118, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ დაფინანსებული პროექტი "ისწავლე და დასაქმდი" ფარგლებში საწარმოო პრაქტიკებზე შპს "ჯეო-ემ-ტექსი", შპს "კონდი", შპს "კოსმო", შპს“ჯი ემ თი მთაწმინდა", შპს "ნეოტექი“, შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯია“ (შერატონი), შპს „პურიგულიანი“, შპს „ლთბ“, შპს "მირიან ტუზურიძე", შპს "დეგუსტო ინტერნეშენელ", ი/ომარი ბუდაღაშვილი, შპს „რევესტა", შპს "ზაუფლექსი", შპს "ფრესკო". |
| | | "ღია კარის დღეების" მოწყობა ადგილზე კოლეჯში და სკოლებში, სკოლის მოსწავლეთა ექსკურსიები კოლეჯში | | | | × | × | × | × | | × | × | | პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი | კოლეჯის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში ასახულია ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიებების შესახებ | **შესრულდა:** კოლეჯში ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ ქ. თბილისის საერთაშორისო სკოლის და შპს სკოლა "თამარიონის" მოსწავლეები (სამსახურებრივი ბარათები: №1599681, №1599861, 11.12.2024წ.). კოლეჯში ვიზიტით იმყოფებოდნენ N140, N149, N114 საჯარო სკოლის 9, 10, 11 და 12 სკოლის მოსწავლეები, მშობლები და მასწვალებლები. |
| | ***<u>სტრატეგიული მიზანი №2.</u>*** *2027 წლის 1 იანვრისთვის კოლეჯის პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მხარდამჭერი ღონისძიებების განვითარება* | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | *სტუდენტური სერვისების განვითარება* | კურიკულუმის გარეშე აქტივობების განხორციელება | × | × | × | × | × | × | × | | × | × | × | დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადობასთან ურთიერთობის მენეჯერი | განხორციელებულია სხვადასხვა ღონისძიებები, განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია ასახულია კოლეჯის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე | **შესრულდა:** განხორციელდა შეხვედრა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის - გაეროს მიგრაცია სტუდენტებთან თემაზე; „უვიზო რეჟიმი ევროკავშირთან, სწავლის შესაძლებლობები ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში, შრომითი მიგრაცია, თავშესაფრის მოთხოვნა, ტრეფიკინგი (სამსახურებრივი ბარათი №278188, 06.03.2024წ.). ქველმოქმედების ფარგლებში და მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა მსჯავრდებულთათვის წიგნების შეგროვება და სსიპ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრისათვის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მათი უსასყიდლოდ გადაცემა. კოლეჯის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს სსიპ ილია წინამძღვიშვილის სახელობის 140 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებაშიმიმინარე წლის 30 ოქტომბერს სსიპ კოლეჯში „მერმისი“ ადმინისტრაციისა და პროფესიული სტუდენტებისთვის მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მიერ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა. ორგანიზაციის წარმომადგენელმა ელენე მიროტაძემ შეხვედრის მონაწილეებს წარუდგინა ინფორმაცია სამსახურის საქმიანობის შესახებ. მომხმარებლებს გააცნო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები, კომპანიების ვალდებულებები, საჩივრის/განცხადების განხილვის წესები და ვადები, აგრეთვე დარგში შემავალი სხვა საკითხები. სსიპ კოლეჯში „მერმისი“ 13 დეკემბერს სტუმრად იმყოფებოდნენ შპს „თბილისის საერთაშორისო სკოლის“ მოსწავლეები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მხატვრული ქსოვა“ მასწავლებელმა ანა სააკაძემ მოსწავლეებს ჩაუტარა მასტერკლასი ბუნებრივი და ხელოვნური საღებავებით ღებვაში. განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია ასახულია კოლეჯის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. |
| | | სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების განვითარება | × | × | × | × | × | × | × | | × | × | × | დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი | გაფორმებულია საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრის ამსახველი ფურცლები, ოქმები, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში ატვირთულია გაცემული ცნობები, დახასიათებები, რეკომენდაციები, ბრძანებები დაჯილდოების შესახებ | **შესრულდა:** სტუდენტური სერვისების გაუმჯობესების მიზნით 2024 წლის 15 თებერვალს ჩატარდა შეხვედრა იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებთან. მათ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს მიაწოდეს ინფორმაცია საქართველოში მოქმედი უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემისა და იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისების შესახებ და წარუდგინეს პრეზენტაცია "ნარკოდანაშული და აზარტული თამაშები" (ინფორმაცია განთავსებულია კოლეჯის სოციალური ქსელის ვებგვერდზე). პროფესიული სტუდენტებისათვის, მსმენელებისათვის, კურსდამთავრებულისათვის გაიცა 15 ცნობა. სტუდენტების ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდასაჭრად შეძენილ იქნა სპორტული ინვენტარი მცირე სატრენაჟორო დარბაზისათვის (მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა).მიმდინარე წლის 14 ნოემბერს სსიპ კოლეჯის „მერმისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ 2 პროფესიული სტუდენტი 11-14 ნოემბერს პროექტის “იდეათონი”-ს ფარგლებში იმყოფებოდნენ მოლდოვეთის რესპუბლიკაში ქ. კიშინიოვში. პროექტი ხორციელდება პროფესიული უნარების სააგენტოსთან თანამშრომლობით, Erasmus+ პროექტი: ინტერნაციონალიზაციის ხელშესაწყობად ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში პროფესიული განათლების სფეროში (INVEsT in You: Promote International Traineeship Programs for Armenian, Georgian, and Moldovan students in Central Europe. IN-VET). ”იდეათონი” წარმოადგენს საერთაშორისო პლატფორმას, სადაც მონაწილე სტუდენტები გამოიმუშავებენ ინოვაციური იდეებს სხვადასხვა სფეროში - ტექნოლოგიები, მეწარმეობა, გარემოს დაცვა, სოციალური განვითარება და ა.შ. გაფორმებულია საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრის ამსახველი ფურცლები, ოქმები, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში ატვირთულია გაცემული ცნობები, დახასიათებები, რეკომენდაციები, ბრძანებები დაჯილდოების შესახებ |
| | | სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის გაუმჯობესება, სხვადასხვა სფეროს დამსაქმებლებთან შეხვედრების ორგანიზება და ჩატარება | | × | × | × | × | × | × | | × | × | × | პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი | გაზრდილია დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა, არსებობს დასაქმებულ სტუდენტთა ბაზა, კოლეჯის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში ასახულია ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიებების შესახებ | **შესრულდა:** 22 თებერვალს კოლეჯის პარტნიორი კომპანიის შპს „ელიტ მოტორსის“ წარმომადგენლებმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "სავალი ნაწილის შეკეთება", "ძრავას შეკეთება" და "მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების" პროფესიულ სტუდენტებთან გამართეს სამუშაო შეხვედრა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. ამის შემდეგ განხორციელდა „სავალი ნაწილის შეკეთების’’ და "მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროგრამების სტუდენტების ვიზიტი შპს „ელიტ მოტორსი“ (სამსახურებრივი ბარათი №319902, 18.03.2024წ.).ორგანიზებულ იქნა შეხვედრა სლოვაკეთის საელჩოს წარმომადგენლებსა და სლოვაკ ბიზნესმენთან კოლეჯის სტუმართმასპიმძლობის მიმართულების სტუდენთან სლოვაკეტში დასაქმების შესაძლებლობების გაცნობასთან დაკავშირებით (სამსახურებრივი ბარათი N1341799, 17.10.2024წ.). გაზრდილია დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა, არსებობს დასაქმებულ სტუდენტთა ბაზა, კოლეჯის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში ასახულია ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიებების შესახებ, • შეხვედრა გაიმართა სტუმარ-მასპინძლობის სფეროში ACCOR-ის ქსელის სასტუმროების: Tbilisi Philharmonic by Mercure, Tbilisi Saburtalo by Mercure და ibis Styles Tbilisi Center- HR დეპარტამენტის ხელმძღვანელთან მაგდა ცხადაძესთან, მან სტუდენტებს შეთავაზა სასტუმროში აქტიური ვაკანსიები შემდგომი დასაქმების მიძნით. |
| ***<u>სტრატეგიული მიზანი №3.</u>*** *2027 წლის 1 იანვრისათვის კოლეჯის ადამიანური რესურსის განვითარება* | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | *მართვის სტრუქტურების სრულყოფა* | მოტივირებული და კვალიფიციური კადრების მოზიდვა | × | × | × | × | × | × | × | | × | | | მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისია | გაფორმებულია ხელშეკრულებები | **შესრულდა**: გაფორმებულია ხელშეკრულება 14 ახალ თანამშრომელთან |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *2* | *ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაზრდა* | კოლეჯის პერსონალის ტრენინგებში და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმავითარებელ აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობა | | × | × | × | × | × | × | | × | × | × | ხარისხის მართვის მენეჯერი | ინფორმაცია ტრენინგები ჩატარების, ტრენინგებზე მოწვევის შესახებ | **შესრულდა:** კოლეჯის 21 მასწავლებელმა (8 ინტეგრირებული ზოგადი მოდულის და 13 პროფესიული მოდულის) და ადმინისტრაციის 7 წევრმა გაიარა სხვადასხვა ტრენინგები19.06.2024-07.07.2024 პერიოდში განხორციელდა SES-ის ექსპერტის თ. გეორკეს ვიზიტი „სარესტორნო მომსახურების" და „სასტუმრო მომსახურების" პროგრამების მასწავლებლებისა და სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. დატრენინგდა კოლეჯის 19 ადმინისტრაციის თანამშრომელი და მასწავლებელი |
| | | კოლეჯის პერსონალის საჭიროებების და კმაყოფილების კვლევა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და საჭირო ღონისძიებების გატარება | | | | | | × | × | | × | | | დირექტორი მოადგილე სასწავლო დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერი, HR მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი | შემუშავებულია რეკომენდაციები კოლეჯის პერსონალის კვლევის შედეგების მიხედვით | **შესრულდა:** ჩატარდა მასწავლებლების გამოკითხვა |
| | | სსსმ და შშმ პირთა პროფესიული მასწავლებლების კონსულტირება და მხარდაჭერა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს | × | × | × | × | × | × | × | | × | × | × | ხარისხის მართვის მენეჯერი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი | განხორციელებულია სსსმ და შშმ პირთა პროფესიულ მასწავლებელთა კონსულტირება და მხარდაჭერა ინკლუზიური განათლების გუნდის მიერ | **შესრულდა:** განხორციელებულია სსსმ და შშმ პირთა პროფესიულ მასწავლებელთა კონსულტირება და მხარდაჭერა ინკლუზიური განათლების გუნდის მიერ |
| ***სტრატეგიული მიზანი №4.*** *2027 წლის 1 იანვრისათვის კოლეჯის მატერიალური რესურსის განვითარება* | | | | | | | | | | | | | | | | |
| *1* | სასწავლო რესურსის გაუმჯობესება | არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება/ განახლება, მატერიალური რესურსების (აღჭურვილობა, სასწავლო მასალა და მასალა-ნედლეული) ლოჯისტიკა და შესყიდვა | | × | × | × | × | × | × | | × | × | × | დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, დირექტორის მოადგილე ფინანსურ დარგში, ლოჯისტიკის სპეციალისტი, შესყიდვების მენეჯერი | განახლებულია/შევსებულია არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განხორციელებულია მატერიალური რესურსების (აღჭურვილობა, სასწავლო მასალა-ნედლეული) შესყიდვა და ლოჯისტიკა | **შესრულდა:** შეძენილია 45 154 ლარის ღირებულების ნედლეული და მასალა, მათ შორის 322 ლარის ღირებულების ჭურჭელი "სარესტორნო მომსახურების" და "სასტუმროს მომსახურების" პროგრამისთვის, 10 ც. კვების წყარო - 794 ლარი, 5ც. პროექტორი. არაფინანსური აქტივებიდან დაიხარჯა 114 800 ლარი. აქედან: შესყიდულ იქნა 60 ცალი კომპიუტერი - 111 000 ლარი და შეიცვალა 2 ალუმინის კარი - 3 800 ლარი. კოლეჯის ბიბლიოთეკა შეივსო 80 ცალი დასახელების ქართველი და უცხოელი მწერლების მხატვრული ლიტერატურის წიგნით.შეძენილ იქნა 43531ლ. მასალა-ნედლეული და 5ც. საკერავი მანქანა, 26 სკამი საპრეზენტაციო/რესტორნის სერვის მენეჯერის ოთახისათვის, სამზარეულოს მცირე აღჭურვილობა შეძენილ იქნა 49779ლ. მასალა-ნედლეული და აღჭურვილობა: სამზარეულოსათვის ქურები, მიქსერები და ბლენდერები, ჭურჭელი, |
| | | გარე პერიმეტრზე საწყობის მოწყობა/აღჭურვა | | | | × | × | × | × | | × | × | × | დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, დირექტორის მოადგილე ფინანსურ დარგში | მოწყობილია/აღჭურვილია საწყობი გარე პერიმეტრზე | **შესრულდა:** გარე პერიმეტრზე საწყობი აღჭურვილია |
| | | ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება | | | × | × | × | × | × | | × | × | × | დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, დირექტორის მოადგილე ფინანსურ დარგში | განხორციელებულია ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები | **შესრულდა:** განხორციელდა ეზოში ნარგავების მოვლის ღონისძიებები. შეძენილ იქნა 4ც. ეზოს სკამი. |
| *2* | *უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა* | სტუდენტთათვის უსაფრთხოების წესების დაცვის რეგულარული ინსტრუქტაჟი | × | × | × | × | × | × | × | | × | × | × | სასწავლო პროცესის მენეჯერი, მასწავლებლები, მედდა | ჩატარებულია სტუდენტთათვის უსაფრთხოების წესების დაცვის ინსტრუქტაჟი | **შესრულდა:** ყველა პროგრამის სტუდენტებს ჩატარებული აქვს ინსტრუქტაჟი, რაც დაფიქსირებულია სტუდენტთა აღრიცხვის მატერიალურ ჟურნალში , 25 ივნისს კოლეჯის სტუდენტებისათვის და თანამშრონლებისათვის ჩატარდა სახანძრო უსაფრთხეობის ტრენინგი. ტრენინგის მიმდინარეობისას განხილულ იქნა საკანონმდებლო რეგულაციები, ხანძრის წარმოშობის სამკუთხედი, ხანძრის კლასიფიკაცია, ქრობის საშუალებები, ცეცხლმაქრის ტიპები, მათი გამოყენება და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ალგორითმი. ტრენინგის დასასრულს განხორციელდა სასწავლო განგაში და ევაკუაცია, ასევე ცეცხლმაქრის გამოყენების პრაქტიკული მეცადინეობა. |
| *3* | *კოლეჯში ინფორმაციული ტექნოლოგიების გაძლიერება* | კომპიუტერული ტექნიკის გაუმჯობესება | | | | | | | | | | × | × | დირექტორის მოადგილე ფინანსურ დარგში | შეცვლილია კომპიუტერული ტექნიკის ნაწილი | **შესრულდა ნაწილობრივ:** შესყიდულ იქნა10 პრინტერისა და 60ც. კომპიუტერული ტექნიკა - ნოუთბუქები (118 500ლ.) შეიცვალა 20ც. კომპიუტერული ტექნიკა "ვებტექნოლოგიების" სასწავლო სახელოსნოში (304). დაწყებულია "გრაფიკული დიზაინის" ახალი პროგრამისათვის კომპიუტერული ტექნიკის შეძენისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.შ ეძენილ იქნა 5 პროექტორი, 2 მიკროფონი, 8 როუტერი |
| *4* | *გამართული საქმისწარმოების უზრუნველყოფა* | არქივის დამუშავება, საქმეთა ნომეკლატურის შესაბამისად არქივისთვის დოკუმენტების მომზადება და გადაცემა | | | | | | | | | | × | × | HR მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი | არქივი დამუშავებულია, წესების დაცვით ჩატარებულია არქივისთვის დოკუმენტების მომზადება და გადაცემა | **შესრულდა:** არქივი დამუშავებულია, წესების დაცვით ჩატარებულია არქივისთვის დოკუმენტების მომზადება და გადაცემა |
| | | პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანა | × | × | × | × | × | × | × | × | × | × | × | რეესტრის წარმოების სპეციალისტი | კანონმდებლობის დაცვით შეტანილია ინფორმაცია პროფესიული განათლების მართვის სისტემაში | **შესრულდა**: პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში e-vet.emis.ge შეყვანილ იქნა სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობების (სტუდენტის სტატუსის მინიჭება, შეწყვეტა, შეჩერება, კვალიფიკაციის მინიჭება, მობილობა. 183 კურსდამთავრებულ სტუდენტზე და 30 მსმენელის ასახულ იქნა დიპლომი დანართით. საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (eflow-ში) ატვირთულ იქნა 80 წერილი, 561 სამსახურებრივი ბარათი, 219 განცხადება. პროფესიული სტუდენტებისათვის, მსმენელებისათვის, კურსდამთავრებულისათვის მომზადებული იქნა - 11 ცნობა; კოლეჯის თანამშრომლებისათვის მომზადებული იქნა - 8 ცნობა |
| *5* | *ფინანსური მდგრადობა* | კოლეჯის ბიუჯეტის დაგეგმვა | | | | | | | | × | | | × | დირექტორის მოადგილე ფინანსურ დარგში | შედგენილია კოლეჯის ბიუჯეტი | **შესრულდა:** შედგენილია კოლეჯის საპროგნოზო ბიუჯეტი |
| | | წლიური შესყივების გეგმის შედგენა | | | | | | | | | | × | | შესყიდვების მენეჯერი | შედგენილია წლიური შესყიდვების გეგმა | **შესრულდა:** შედგენილია წლიური შესყიდვების გეგმა, სახელმწიფო შესყიდვების 2025 წლის გეგმა დამტკიცდა კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 20 ნოემბრის N04-179 ბრძანებით და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დარიგისტრირდა იმავე დღეს, რეგისტრაციის ნომრით P240003539 |
| | | ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგების წარმოება | | | | | | | | | | | × | მთავარი ბუღალტერი | შედგენილია კოლეჯის ბალანსი | **შესრულდა:** შედგენილია კოლეჯის ბალანსი |
| *6* | *საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმართვა* | პროფესიული საგანმანათლებლო კატალოგის განახლება | | | | | | × | | | × | | × | საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი | კატალოგი განახლებულია | **შესრულდა:** კატალოგი განახლებულია |
| | | კოლეჯის ვებ-გვერდზე და სოციალური ქსელში ინფორმაციის მუდმივი განახლება, ვებ გვერდის ინგლისურენოვანი ვერსიის სრულყოფა | | | | × | × | × | × | × | × | × | × | საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი | კოლეჯის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში ინფორმაცია განახლებულია, შექმნილია ვებ გვერდის ინგლისურენოვანი ვერსია | **შესრულდა:** კოლეჯის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში ინფორმაცია განახლებულია, განხორციელდა კოლეჯის საიტის რეორგანიზაცია (ჩაშენდა საერთაშორისო ურთიერთობების ველი, შეიქმნა კოლეჯის სოციალური ქსელები ლინკიდნსა და ინსტაგრამზე)<br>https://www.mermisicollege.edu.ge/ka/posts/270<br>https://www.mermisicollege.edu.ge/ka/posts/272<br>https://www.mermisicollege.edu.ge/ka/posts/273<br>ცხრილები: https://mermisicollege.edu.ge/ka/groups<br>ინფორმაცია ადმინისტრაციის შესახებ: https://mermisicollege.edu.ge/ka/administracion<br>ინფორმაცია სასწავლო ჯგუფების შესახებ: https://mermisicollege.edu.ge/ka/groups<br>წესები: https://mermisicollege.edu.ge/ka/rules<br>ინფორმაცია განთავსებულ იქნა კოლეჯის სოციალურ ქსელში - 81 პოსტი<br>https://www.facebook.com/mermisicollege |
| *7* | *სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება* | სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და ანგარიში | | | × | | | × | | | × | | × | დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, დირექტორის მოადგილე ფინანსურ დარგში | ჩატარებულია ყოველკვარტალური მონიტორინგები და შემუშავებულია ანგარიშები | **შესრულდა:** ჩატარებულია ყოველკვარტალური მონიტორინგები და შემუშავებულია ანგარიშები |
| | | სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება | | | × | | | × | | | × | | × | ხარისხის მართვის მენეჯერი | შეფასებულია სამოქმედო გეგმის შესრულება | **შესრულდა:** სამოქმედო გეგმის შესრულება შეფასებულია |
| | | 2025 წლის სამოქმედო გეგმის შედგენა | | | | | | | | | | | × | მუდმივმოქმედი კომისია | შედგენილია 2025 წლის სამოქმედო გეგმა | **შესრულდა:** შედგენილია 2025 წლის სამოქმედო გეგმა |